სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

19 04 2021 წ. №40 ქ. თბილისი

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/1) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საექსპერტო კომისიის დამტკიცებამდე კომისიის წევრობის კანდიდატებზე წერილობითი დასაბუთების მომზადების შესახებ" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის 2014 წლის 16 ივლისის №170 ბრძანების შესაბამისად

ვბრძანებ:

1.2021 წლის 19 აპრილს შეიქმნას მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/1) განმხილველი საექსპერტო კომისია 7 წევრის შემადგენლობით:

1. გრიგოლ აბაშიძე - რეჟისორი;
2. დავით ჯანელიძე – რეჟისორი;
3. ირინე ჟორდანია - რეჟისორი;
4. ანა ურუშაძე – რეჟისორი;
5. ალექსანდრე ცაბაძე - რეჟისორი;
6. დიმიტრი ცინცაძე- რეჟისორი;
7. ნინო მხეიძე – კინომცოდნე;

2.გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.

4. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

5. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება დიმიტრი ცინცაძის კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, დიმიტრი ცინცაძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-სა და სხვა წყაროების საფუძველზე მივიჩნევ, რომ დიმიტრი ცინცაძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

დ. ცინცაძემ 1981 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (ელდარ შენგელაიასა და ოთარ იოსელიანის სახელოსნო). დიმიტრი ცინცაძის მოღვაწეობა კინოსფეროში მეტად მრავალმხრივია: სხვადასხვა პროექტებზე იგი მუშაობდა როგორც კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი, კომპოზიტორი. 1990 წლამდე იგი მუშაობდა რეჟისორის ასისტენტად კინოსტუდია „ქართულ ფილმში".

1990-1994 წწ. დ. ციმცაძე მოღვაწეობდა კერძო კინოსტუდიაში „შვიდკაცა", ამ პერიოდში მან გადაიღო რამოდენიმე ფილმი, მათ შორის მხატვრული ფილმი „ზღვარზე", რომელშიც აისახა მე-20 საუკუნის 90-იანი წლების სამოქალაქო ომის დრამატული მოვლენები. ფილმი დაჯილდოვდა ვერცხლის ლეოპარდით ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, ხოლო შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალზე „ოქროს არწივი" მიიღო პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის. აღსანიშნავია, რომ დ. ცინცაძე არის ამ ფილმის რეჟისორი, სცენარისტი, კომპოზიტორი და დამდგმელი მხატვარი.

1997 წლიდან დიმიტრი ცინცაძე ცხოვრობს და საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობს გერმანიაში. აქ გადაღებული პირველი ფილმი „დაკარგული მკვლელები" წარდგენილი იყო კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, თესალონიკის საერთაშორისო ფესტივალზე მიიღო პრიზი „ვერცხლის ალექსანდრე", ხოლო კოტბუსის ფესტივალზე –გრანპრი. წარმატებული გამოდგა დ. ცინცაძის მომდევნო ფილმებიც, რომლებმაც არაერთი პრესტიჟული ჯილდო მოიპოვეს სხვადასხვა ფესტივალებზე. მის ბოლო ფილმს „შინდისი" გადაეცა გრანპრი ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ჰოლივუდში, აზიური ფილმების მსოფლიო ფესტივალზე ამავე ფილმისტვის დ. ცინცაძეს საუკეთესო რეჟისორის ჯილდო გადასცეს.

დ. ცინცაძეს, როგორც მრავალმხრივ განათლებულ და კინოს თემატიკის სხვადასხვა მიმართულებების საფუძვლინად მცოდნე წარმატებულ პროფესიონალს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

დიმიტრი ცინცაძე

რეზიუმე

დიმიტრი (დიტო) ცინცაძე დაიბადა თბილისში, 1957 წლის 2 მარტს. დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი ელდარ შენგელაიასა და ოთარ იოსელიანის ხელმძღვანელობით (1975-1981).

იგი არის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი, კომპოზიტორი. 1990 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა რეჟისორებთან ასისტენტად კინოსტუდია "ქართულ ფილმში". ამ პერიოდში გადაღებული აქვს ფილმები: „თეთრი ღამე"– მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი (1984); „დახატული წრე"– მხატვრული ფილმი (1988); „დაბრუნება"– მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი (1990).

1990-1994 წწ. დიტო ცინცაძე მოღვაწეობდა კერძო კინოსტუდია "შვიდკაცაში"; ამ კინოსტუდიაში გადაღებული ფილმებია: „სახლი"– მხატვრული ფილმი (1991); „სტუმრები"– მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი (1991); მხატვრული ფილმი „ზღვარზე" (1993), რომელშიც აისახა 1990–იანი წლების სამოქალაქო ომის დრამატული მოვლენები; ეს ფილმი დაჯილდოვდა ვერცხლის ლეოპარდით ლოკარნოს (შვეიცარია) საერთაშორისო კინოფესტივალზე, თბილისის შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალზე "ოქროს არწივი" კი მიიღო პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის; დიტო ცინცაძე არის ფილმის "ზღავრზე" რეჟისორი, სცენარისტი, კომპოზიტორი და დამდგმელი მხატვარი.

1993–1996 წლებში კინორეჟისორი იტალიურ კინოწარმოებაში მუშაობდა. 1997 წელს იგი გახდა გერმანიის (ბერლინის) "Nipkow" და "Daad" პროგრამების სტიპენდიანტი და იმავე წელს საცხოვრებლად გადავიდა ბერლინში. მას შემდეგ დიტო ცინცაძე ძირითადად გერმანიაში მოღვაწეობს. აქ გადაღებული პირველი ფილმი – "დაკარგული მკვლელები" (2000, „Lost Killers") ემიგრანტების ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ფილმი წარდგენილი იყო კანის (საფრანგეთი) საერთაშორისო კინო-ფესტივალზე, სექციაში Uni Certain Regard; თესალონიკის (საბერძნეთი) საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო „ვერცხლის ალექსანდრე" და კოტბუსის (გერმანია) ფესტივალზე – გრანპრი; წარმატებული გამოდგა გერმანიაში შექმნილი მეორე ფილმიც – "გასროლის შიში" (2003, „Schussangst"), რომელიც დაჯილდოვდა ოქროს ნიჟარით სან სებასტიანის (ესპანეთი) საერთაშორისი კინოფესტივალზე (2003); ამავე წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო „ოქროს პრომეთე", როგორც საუკეთესო ფილმმა და 2005 წელს დაიმსახურა გერმანელ კინოკრიტიკოსთა ასოციაციის პრიზი – საუკეთესო საოპერატორო ნამუშევრისთვის.

2005 წლიდან დიტო ცინცაძის შემოქმედებაში იწყება ახალი ეტაპი, რომელიც ქართულ-გერმანული კინოპორდუქციის შექმნას გულისხმობს. 2006 წელს, მან ქართველ კინომოყვარულებს 2 ახალი ფილმი შესთავაზა: "კაცი საელჩოდან" (2006, „Der Mann von der Botschaft)" და "რევერსი". "კაცი საელჩოდან" ქართულ-გერმანული კოპროდუქციაა, ის ფირზეა გადაღებული და სრულმეტრაჟიანია. მიღებული აქვს პრიზები სართაშორისო კინოფესტივალებზე – ლოკარნოში (შვეიცარია), მარ დელ პლატაში (არგენტინა) და ლიდსში

(დიდი ბრიტანეთი). ფილმის სცენარი დაწერილია რეჟისორ ზაზა რუსაძესთან ერთად. “რევერსი” სატელევიზიო ფილმია.

2008 წელს მან გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ელდარ შენგელაია“, რომელიც თავის სტუდენტობის პერიოდის მასწავლებელს მიუძღვნა.

2013 წელს საერთაშორისო კინოეკრანებზე გამოვიდა რეჟისორის ახალი ფილმი „Invasion“ („შემოჭრა“), რომელმაც მონრეალის მსოფლიო კინოფესტივალზე ჟიურის სპეციალური გრანპრი მოიპოვა.

დიტო ცინცაძის ბოლო ფილმის - ,,Der Gott des Glücks" (‘ბედნიერების ღმერთი") თემატიკა კვლავ ემიგრაციაა, ფილმის ჯილდოებია: 2016, ვენის დამოუკიდებელი ფილმის კინოფესტივალი, "ოქროს ქანდაკება" საუკეთესო რეჟისურისთვის და საუკეთესო საოპერატორო ნამუშევრისთვის; მთავარი პრიზი – „ოქროს თახვი“ – ბიბერახის (გერმანია) საერთაშორისო კინოფესტივალზე.

2016 წელს რეჟისორი სოფიის საერთაშორისო ჟიურის წევრად იყო მიწვეული.

წერილობითი დასაბუთება ალექსანდრე ცაბაძის კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური კანდიდატის, ალექსანდრე ცაბაძის პერსონალური მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ალექსანდრე ცაბაძის განათლება, სამუშაო გამოცდილება, კვალიფიკაცია და პიროვნული თვისებები იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1982 წელს ალექსანდრე ცაბაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი. 1986 წლიდან იგი იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" რაჟისორი და კინოსტუდიასთან არსებული სასწავლო სტუდიის ხელმძღვანელი. 1993 წელს ალექსანდრე ცაბაძე „Nipkow Programm''-ის სტიპენდიანტია გერმანიაში. 1995 წელს ალეკო ცაბაძემ ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების პერიოდში გაიარა კინოდრამატურგიის კურსები. სხვადასხვა წლებში ალექსანდრე ცაბაძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში.

ა. ცაბაძემ გადაღებული აქვს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „ლაქა" (1986წ.), „ღამის ცეკვა" (1991წ.), „მარტოობის ორდენის კავალერი" (1991წ.), „რუსული სამკუთხედი" 2007წ.), „რენე მიდის ჰოლივუდში" (2010წ.), ტელეფილმები: „თეატრალური ბლუზი" (2003წ.), „ფილიპეს ყურე" (2005წ.), „მეტყევე" (2011წ.), „ერთმოყვარენი" (2012წ.), „ცოდვილი სისხლი" (2013წ.), „თქვენ ბავშვი გეყოლებათ" (2014წ.), „სიცოცხლე, რომელიც ვერ ვიცხოვრეთ" (2015წ.), „ამერიკული გორაკები" (2019წ.).

ალექსანდრე ცაბაძის ფილმებს მიღებული აქვთ მრავალი საერთაშორისო პრესტიჟული ჯილდო: ფილმს „ლაქა" – სატელევიზიო და სადიპლომო ფილმების საკავშირო ფესტივალის „ამირანი-85" მთავარი პრიზი, პოლონეთში ქ. ვარშავის მე-14 საერთაშორისო კინოფესტივალზე „ახალგაზრდობა და ფილმები" პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის, ქ. ლოკარნოს მე-11 საერთაშორისო კინოფესტივალის ვერცხლის პრიზი „ლეოპოლდის ვერცხლის თვალი", ქ. მინსკში სატელევიზიო ფილმების მე-12 საკავშირო ფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი და პრემია. ფილმმა „ლაქა" კინოკრიტიკოსთა და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე 1992წ., მოიპოვა ჯილდო „ოქროს ალექსანდრე" სალონიკის კინოფესტივალზე, ასევე საქართველოს ნატო ვაჩნაძის სახელობის კინოხელოვნების აკადემიის პრიზები: „ოქროს ნატო" – საუკეთესო ფილმისთვის, „ნატო" – საუკეთესი რეჟისურისთვის.

ალექსანდრე ცაბაძის, როგორც წარმატებულ კინორეჟისორს, მისი პროფესიონალიზმის, დიდი გამოცდილებისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

ალეკო ცაბაძის ფილმოგრაფია

10.11.1956
1982 წელს დაამთავრა
ქ. თბილისის თეატრალური ინსტიტუტის
კინოსარეჟისორო ფაკულტეტი
(სოსო ჩხაიძის და ბუბა ხოტივარის სახელოსნო)

1986 – ***ლაქა*** – სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. წარმოება – „ქართული ტელე-ფილმი".

1987 – ***ლაქა*** – *ვერცხლის ლეოპარდი* – ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალი; შვეიცარია.

1987 – ***ლაქა*** – *მთავარი პრიზი* – თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი „ამირანი".

1987 – ***ლაქა*** – *საუკეთესო რეჟისურა* – კოშალინის საერთაშორისო კინოფესტივალი; პოლონეთი

1987 – ტურინის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის წევრი; იტალია

1991 – ***ღამის ცეკვა*** - სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. წარმოება – კინოსტუდია „ქართული ფილმი".

1992 – ***ღამის ცეკვა*** – ფორუმი, ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი; გერმანია

1993 – ***ღამის ცეკვა*** – *ოქროს ალექსანდრე* – სალონიკის საერთაშორისო კინოფესტივალი; საბერძნეთი

1993 – Nipkow Programm-ის სტიპენდიანტი. ბერლინი; გერმანია

1994 – ნიუ-იორკის კინოაკადემიის კინოდრამატურგიის კურსი; აშშ

1997 – **ღამის ცეკვა** – საქართველოს ნატო ვაჩნაძის სახ. კინოხელოვ-ნების აკადემიის პრიზები: *ოქროს ნატო* – საუკეთესო ფილმისთვის; *ნატო* – საუკეთესო რეჟისურისთვის.

1999 – ***მარტოობის ორდენის კავალერი*** – სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. წარმოება – „G&K Studio". თბილისი.

2003 – ***Театральный Блюз*** – ტელეფილმი (4 სერია). ტელეარხი РТР. წარმოება – სტუდია „Открытый Театр" მოსკოვი; რუსეთი

2004 – ***Нежное Чудовище*** – ტელეფილმი (8 სერია). ტელეარხი РТР. წარმოება – სტუდია „Открытый Театр" მოსკოვი; რუსეთი

2005 – ***Бухта Филиппа*** – ტელეფილმი (8 სერია). ტელეარხი РТР. წარმოება – სტუდია „Рекун ТВ“. მოსკოვი; რუსეთი

2007 – ***რუსული სამკუთხედი*** – სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. წარმოება – კინოსტუდია „რემკა“. თბილისი.

2007 – ***რუსული სამკუთხედი*** – *ჟიურის სპეციალური პრიზი* – მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალი; რუსეთი

2008 – ***რუსული სამკუთხედი*** – *პრემია ნიკა* – მოსკოვი; რუსეთი

2010 – ***რენე მიდის ჰოლივუდში*** – სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. წარმოება – საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, კინოსტუდია „დამოუკიდებელი კინოპროექტი“, კინოსტუდია „სანგუკო“. თბილისი.

2011 – ***Лесник*** – ტელეფილმი (8 სერია); ტელეარხი НТВ. წარმოება – კომპანია „Мостелефильм“. მოსკოვი; რუსეთი

2012 – ***Однолюбы*** – ტელეფილმი (12 სერია); პირველი არხი. წარმოება – კინოკომპანია „Щука“. მოსკოვი; რუსეთი

2013 – ***Дурная кровь*** – ტელეფილმი (12 სერია); პირველი არხი. წარმოება – კინოსტუდია „RWS“. მოსკოვი; რუსეთი

2014 – ***У Вас Будет Ребенок*** – ტელეფილმი (8 სერია); პირველი არხი. წარმოება – კინოკომპანია „Щука“. მოსკოვი; რუსეთი

2015 – ***Жизнь, Которую Мы Не Прожили*** – მოკლემეტრაჟიანი ფილმი. წარმოება – კინოკომპანია „Марс Медия Энтертейнмент“. მოსკოვი; რუსეთი

2019 – ***Русские Горки*** – ტელეფილმი (24 სერია); პირველი არხი. წარმოება – კინოკომპანია „Джи Пи“. მოსკოვი; რუსეთი

წერილობითი დასაბუთება ირინე ჟორდანიას კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ირინე ჟორდანიას პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე მივიჩნევ, რომ ირინე ჟორდანიას განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ირინე ჟორდანიამ გაიარა თბილისის შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის უმაღლესი კინოსარეჟისორო კურსები (რეზო ესაძის სახელოსნო), 2002 წელს მან გაიარა სტაჟირება რუსეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში (მარლენ ხუციევის სახელოსნო).

ირინე ჟორდანიას პირველმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა „მარქსის ქუჩა 12", მოიპოვა საერთაშორისო აღიარება: ფილმის პრემიერა შედგა სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, შემდგომ შეირჩა და მონაწილეობდა უფსალას, ტალინის, ტამპერეს კინოფესტივალების საკონკურსო პროგრამებში. 2019 წელს Black Night Film Festival – POFF-ის მიერ ფილმი „მარქსის ქუჩა 12", წარდგენილი იყო ევროპული კინოაკადემიის ნომინაციის კანდიდატად, წლის საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის. აღსანიშნავია, რომ ირინე ჟორდანია იყო ფილმის პროდიუსერი, სცენარის ავტორი და რეჟისორი.

ირინე ჟორდანიას შექმნილი აქვს სცენარი „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია", იგი არის თანასცენარისტი პროექტების: „წმინდა ელექტროენერგია", „ნახევრად მოგონილი ამბავი", „ანა".

ირინე ჟორდანიას, როგორც ნიჭიერ და წარმატებულ კინოხელოვანს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; შემდეგ, უმაღლესი კინოსარეჟისორო კურსები - შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეზო ესაძის სახელოსნო . სტაჟირება გაიარა რუსეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, მარლენ ხუციევის სახელოსნო. სხვადასხვა დროს მუშაობდა როგორც რედაქტორი, ჟურნალისტი, ინტერვიუერი. არის სხვადასხვა გამოცემის რედაქტორი.

მისი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი - „მარქსის ქუჩა 12" (პროდიუსერი, სცენარისტი და რეჟისორი), პრემიერა შედგა 2019 წლის სარაევოს კინოფესტივალზე, წარდგენილი იყო 2020 წლის ევროპული კინოაკადემიის ნომინაციის კანდიდატად წლის საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის. Black Nights Film Festival – POFF - ის მიერ. 2020 წელს, ირინე ჟორდანიას პროექტი (პროდიუსერი, სცენარისტი და რეჟისორი) - ''ჰაერი ლურჯი აბრეშუმია'', დაფინანსდა ეროვნული კინოცენტრის მიერ. პროექტი მონაწილეობას იღებდა ოდესის და თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალების ინდუსტრიულ სექციებში.

<u>ფილმოგრაფია</u>

<u>რეჟისორი და სცენარის ავტორი</u>

2019 **მარქსის ქუჩა 12** (12 K. Marx Street)

- 2019 წლის ევროპული კინოაკადემიის (European Film Academy) კანდიდატი ფილმი.
- სარაევოს, უფსალას, ტალინის, ტამპერეს კინოფესტივალების სელექცია.

<u>სცენარის ავტორი</u>

2021 **წმინდა ელექტროენერგია -** სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი
თანასცენარისტი ტატო კოტეტიშვილთან ერთად

- 2020 წ. Hubert Bals-ის ფონდის კონკურსის გამარჯვებული პროექტი
- 2020 წ. პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის წარმოების კონკურსის გამარჯვებული

2021 **ნახევრად მოგონილი ამბავი** - სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი
თანასცენარისტი ირინე ჯავახიძესთან და დავით უჯმაჯურიძესთან ერთად.

- 2020 წ. ეროვნული კინოცენტრის სცენარის განვითარების კონკურის გამარჯვებული პროექტი.

2017 **ანა** - მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი
თანასცენარისტი მარგო ზუბაშვილთან და ნუცა წიქარიძესთან ერთად.
რეჟისორი: მარგო ზუბაშვილი

- ფილმი შეიქმნა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

წერილობითი დასაბუთება ანა ურუშაძის კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ანა ურუშაძის პერსონალური მონაცემების გაცნობის შემდეგ, მის მიერ წარმოდგენილი ფილმოგრაფიისა და ინტერნეტ-სივრცეში განთავსებულ სანდო წყაროებზე დაყრდნობით, მივიჩნევ, რომ ანა ურუშაძის განათლება, კვალიფიკაცია და პირადი თვისებები იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

ანა ურუშაძემ 2013 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტი, მას ნამუშევარი აქვს ოთხ მოკლემეტრაჟიან ფილმზე

ანა ურუშაძის. სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის - „საშიში დედა" მსოფლიო პრემიერა გაიმართა 2017 წლის ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კლასის კინოფორუმია, ფესტივალზე ფილმმა მოიპოვა „ოქროს ლეოპარდი" – საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისთვის და დამოუკიდებელი ჟიურის პრიზი. ფილმის შემდეგი წარმატებული საკონკურსო ჩვენება სარაევოს საერთაშორისო ფესტივალზე მოხდა, ფილმმა ფესტივალის გრან პრი - „სარაევოს გული" მოიპოვა და კრიტიკოსების დიდი მოწონება დაიმსახურა, ფილმი ფაქტობრივად ყველა გავლენიანმა საერთაშორისო გამოცემამ გააშუქა. ფილმი დაჯილდოვდა სან-ფრანცსკოს, სინგაპურის საერთაშორისო კინოფესტივალებზე, მოიპოვა ევროპული კინოს მე-19 ფესტივალის საერთაშორისო ფედერაციის ჯილდო.

2018 წელს ქართველი რეჟისორების, პროდიუსერების და კინოკრიტიკოსებისგან შემდგარმა ცხრაკაციანმა ჟიურიმ ფილმი „საშიში დედა" ოსკარზე წარსადგენ 4 ფილმს შორის შეარჩია.

ანა ურუშაძეს, როგორც ნიჭიერ, წარმატებულ და პერსპექტიულ ახალგაზრდა კინორეჟისორს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

ანა ურუშაძე
ბიო-ფილმოგრაფია

ანა ურუშაძე დაიბადა 1990 წლის 11 სექტემბერს ქალაქ თბილისში.

2013 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტი.

ნამუშევარი აქვს ოთხ მოკლემეტრაჟიან ფილმზე.

მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი და საქართველოს მხრიდან 2018 წლის ოსკარზე წარდგენილი ქართულ-ესტონური კოპროდუქცია "საშიში დედა"(2017წ.) მისი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია.

წერილობითი დასაბუთება დავით ჯანელიძის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, დავით ჯანელიძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ დავით ჯანელიძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1981 წელს დ. ჯანელიძემ დაამთავრა შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორი ფაკულტეტი (ელდარ შენგელაიას სახელოსნო). დ. ჯანელიძე არის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი (ასწავლის კინორეჟისურას) და ამავე უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის დეკანი. 2012 წლიდან დავით ჯანელიძე არის ევროპული კინოაკადემიის (EFA) წევრი.

დ. ჯანელიძის ფილმოგრაფია საკმაოდ მრავალფეროვანი და წარმატებულია, იგი რეჟისორია ფილმების: ვერსათრიელა, დედუნა, ციხე-სიმაგრე, „1001 ღამე თბილისში", „ვანო მელიაშვილი", „მედიანი – სამყაროს ჭიპი", „კავშირი", „მოძრავი ფოტოები", „ჯაყოს ხიზნები", „უსახელო მცენარე", „ჩიტების გამომზამთრებელი" და სხვა. დ. ჯანელიძე არის ჩამოთვლილი ფილმების ნაწილის სცენარის ავტორი და ნაწილის პროდიუსერი. გარდა ხსენებული ფილმებისა, დ. ჯანელიძეს გადაღებული აქვს ტელესერიალები - „ატაგენუსი", „მტვრის გემო."

დ. ჯანელიძის ფილმები მონაწილეობდნენ არაერთ საერტაშორისო ფესტივალზე, მოპოვებული აქვთ საერთაშორისო აღიარება და არაერთი პრესტიჟული ჯილდო, მათ შორის მიუნხენის ფესტივალის ჯილდო „ოქროს ვარსკვლავი", მონპელიეს ფესტივალის გრანპრი და სხვა.

დავით ჯანელიძის მაღალი პროფესიონალიზმის, კინოს თემატიკის საფუძვლიანი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ვიწვევ მას კონკურსის საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი g.ch.7 გაგა ჩხეიძე

დავით ჯანელიძე CV

დავიბადე 1958 წელს ქ. თბილისში.
ვსწავლობდი 1 საშუალო სკოლაში
1981 წელს დავამთავრე თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა
და კინოს ინსტიტუტი, კინოსარეჟისორო ფაკულტეტი.
ამავე ინსტიტუტში ვასწავლი კინორეჟისურას .ვარ საერთაშორისო
კინოფესტივალების მონაწილე და ლაურეატი, ორი გრანპრის მფლობელი.
ვარ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს
წევრი.კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი,თეატრისა და კინოს
უნივერსიტეტის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის კინო-ტელე
ფაკულტეტის დეკანი
ევროპული კინოაკადემიის (EFA)წევრი 2012 წლიდან

ფილმოგრაფია:
1982 – "ვერსათრიელა" 17წთ. 35მმ. მხატვრული. ფესტივალები: როტერდამი, პეზარო.

1985 – "დედუნა" 65წთ. 35მმ. მხატვრული. ფესტივალები: ალმა-ატა, მთავარი პრიზი 1986წ. მანჰეიმი, გრანპრი 1987წ.

1990 – "მდგმურები" 80წთ. 35მმ. მხატვრული. ფესტივალები: მიუნხენი, ოქროს ვარსკვლავი 1991წ. მონპელიე, გრანპრი 1992წ. მონრეალი, როტერდამი და სხვ.

1994 – "ციხესიმაგრე" 108წთ. 35მმ. მხატვრული. ფესტივალები: მიუნხენი, რიგა, როტერდამი, თბილისი, ჟიურის სპეციალური პრიზი 1994წ.

1996 – "1001 ღამე თბილისში", ტელესერიალი, პირველი არხი

1998 – "წილკანი" 46წთ. დოკუმენტური

1999 – "ვანო მელიაშვილი" 17წთ. დოკუმენტური.

2001 – "საქართველო – ბოლო ათი წელი, უკომენტაროდ" 46წთ. დოკ.

2003 – "მტვრის გემო" ტელესერიალი, ტელეკომპანია "იმედი". ფესტივალები: მონტე – კარლო 2004, მილანი – 2005.

2004 – "მეიდანი – სამყაროს ჭიპი" 52წთ. დოკუმენტური. ფესტივალები: თბილისი, სერგო ფარაჯანოვის სახელობის პრიზი 2004, პრიზი საუკეთესო სცენარისათვის "სახალხო ფესტივალი მზე" 2005, როტერდამი 2005, იერუსალიმი 2005, ლონდონი 2005, ერევანი 2005, სან – ფრანცისკო 2005.

2005 – "კავშირი" 11წთ. მხატვრული. ფესტივალები: როტერდამი 2005, როდოსი 2005, თბილისი 2005.

2006 – "ატაბენუსი" ტელესერიალი, ტელეკომპანია "იმედი".

2009-"ჯაყოს ხიზნები" მხატვრული. სტუდია "ტაია",საქართველოს ეროვნული კინოცენტრი. ფესტივალები: ბუქარესტი 2010, თბილისი 2010, ერევანი 2010, ტალინი 2010, პეტერბურგი 2012
2012 – "დოსიე- პიკადორი ტვ სერიალი 6X46 ტელეკომპანია "პიკ"

წერილობითი დასაბუთება ნინო მხეიძის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ნინო მხეიძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ნინო მხეიძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1986 წელს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინტიტუტის კინომცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ნ. მხეიძემ სწავლა განაგრძო მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1993-2010 წლებში ნ. მხეიძე ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. 2007-2010 წლებში იგი არის ამავე უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე. 2010 წლიდან დღემდე ნ. მხეიძე არის ილიას უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, იგი კითხულობს სალექციო კურსებს მსოფლიო კინოს ისტორიაში, ქართული კინოს ისტორიაში, კინოს თეორიასა და პრაქტიკაში.

ნინო მხეიძეს გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო შრომა კინოს თემატიკაზე, მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო კონფერენციებზე, წაკითხული აქვს სალექციო კურსები ბოსტონსა და ვაშინგტონში.

ნ. მხეიძის პროფესიონალიზმის, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის, კოლეგებში კარგი საქმიანი რეპუტაციის, კინოს ისტორიისა და პრობლემების საფუძვლიანი ცოდნისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით ვიწვევ მას საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

ნინო მხეიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

2010 წლიდან-დღემდე, ილიას უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი, ასოცირებული პროფესორი. ვარ კინომცოდნეობის პროგრამის ხელმძღვანელი,ვასწავლი მსოფლიო კინოს ისტორიას, ქართული კინოს ისტორიას, კინოს თეორიასა და პრაქტიკას ბაკალავრის და მაგისტრატურის დონეზე. მყავს როგორც ხელმძღვანელს 4 დოქტორანტი.
2013წ. –GIPA-მიწვეული პედაგოგი-მსოფლიო კინო ისტორიის მოკლე კურსი
2014წ.-კინოცენტრის, განათლების სამინისტროს და კულტურის სამინისტროს ერთობლივი პროექტის „კინო სკოლაში" მონაწილე მცხეთა-თიანეთის რეგიონში
1993-2010 წლამდე ვეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში
2007-2010 წწ. ამავე უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.
1988-89წწ. . მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურა.
1986 წ. შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი კინომცოდნეობის ფაკულტეტი

სხადასხვა წლებში:

2013წ.ზაფხულის ნომრის FILMPRINT რედაქტორი
2013წ.-აგვისტო სარაევოს საერთაშორისო ფესტივალიზე საქართველოს დელეგაციის წევრი
2010-2014წწ. საერთაშორისო ფესტივალ „პრომეთეს" საკონკურსო ფილმების სელექციის მონაწილე
2007წ .ამსტერდამი, სილექტის სტუდენტური ფილმების საერთაშორისო დათვალიერება მონაწილე
2002-2005 წწ. გაზეთი „კულტურა",ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედაქტორი;
2002წ. ტელეკომპანია „იმედი" რედაქტორი,
2001-2002წწ.ტელეკომპანია „მე-9 არხი"- პროგრამების მთავარი რედაქტორი,
1998-1999წწ. ტელეკომპანია „იბერია" საავტორო გადაცემები: „ატალანტა" და „ქართული კინო-90".
1997წ.საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი.
1990-1992წწ.-ქართული კინოგაზეთის „სარკმელის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედაქტორი, „კინომუზეუმის"თანამშრომელი.
1989წ.ქალ კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი.

სამეცნიერო შრომები:

სისტემატიზატორები-მსოფლიო კინოს სათავეებთან, ქართული ტელეფილმი თანამედროვე ეტაპზე, ალავერდობიდან- ანემიამდე,პოსტსაბჭოთა ქართული კინო გმირის მოლოდინში, მიხეილ კალატოზიშვილო, ანემიიდან – ატუ-ალაბა-ოტელ კალიფორნიამდე, მონტაჟის თეორიის ზოგიერთი ასპექტები, რა შეუძლია კინოს და სხვა.
ვიბეჭდებოდი პერიოდულ პრესასა და ჟურნალ- გაზეთებში.

სხვადასხვა დროს მიღებული მაქვს მონაწილეობა კონფერენციებში:
ბოლშევოსა და ბიჭვინთის საკავშირო კონფერენციები.
იურმალის საერთაშორისო ქალ-კინემატოგრაფისტთა კონფერენცია.
აშშ. ლექციები ქართულ კინოზე ბოსტონსა და ვაშინგტონში.
კინოსექტორი და ფსიქოლოგიის ინსტიტუტეს კონფერენცია ფსიქოლოგია და კინო.
კინოს ისტორიისა და თეორიის კვლევითი ცენტრი-ქართული ტელევიზიის პრობლემები.

კინოსექტორი და კინოკავშირი- ბოლო წლების ქართული კინოს თემატურ- ესთეტიკური ტენდეციები. (2005-2010)
სამეცნიერო კონფერენცია- ქართულ კულტურაში მიმდინარე პროცესები XXსაუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე.
სამეცნიერო კონფერენცია – თანამედროვე ეპოქა და კინოპროცესი.

ვარ ერთ-ერთი ავტორი დამხმარე სახელმძღვანელოსი:

2006-2007წწ.ქართველი კინორეჟისორები – I ნაწ. II ნაწ. შ. რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გამომცემლობა 2006-2007 წ.წ.
2012წ.ყველა დროის 12 საუკეთესო ქართული ფილმი(ქართულ-ინგლისურ ენაზე) (ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორი)

ენები: ქართული მშობლიური, რუსული კარგად, ინგლისური საშუალოდ

ქ.თბილისი, ზანდუკელის ქ. 7. ტ.299 66 78, 595 30 50 16.
ელ.ფოსტა **nino.mkheidze@iliauni.edu.ge**